ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1932 წლის თებერვლის 29	№ 5 განყოფილების პირველი	ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა.

შინაარსი:

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

მუხ. 31. ა/კსფსრ-ში ბავშვთა უპატრონობის ლიკვიდაციის შესახებ.
32. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესხის მიმართვა ამიერკავკასიის ყველა მშრომელისადმი ამიერკავკასიის ფედერაციის ათის წლის არსებობის გამო.
33, 1932 წლის გაზაფხულის თესვისათვის მზადების შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

34. ა/კსფსრ-ში 1932 წელს მთრიმლავი მასალის დამზადების შესახებ.
35. ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ფასთა კომიტეტის შედგენილობის შესახებ.
36. ა/კსფსრ-ში 1931 წლის წლიური ბალანსების და ანგარიშების თვისებისა და ბავის დროზე წარდგენის უზრუნველყოფის შესახებ.
37. 1932 წელს კალიასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

31. ა/კსფსრ-ში ბავშვთა უპატრონობის ლიკვიდაციის შესახებ.

მოისმინა-რა მოხსენება ამიერკავკასიის თათბირის შედეგების შესახებ ა/კსფსრ-ში ბავშვთა უპატრონობის ლიკვიდაციის საკითხის გამო, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობით, ა/კსფსრ-ში ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის წარმატებათა საფუძველზე, და ბავშვთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიებისა და განათლების სახალხო კომისარიატების შეერთებული ძალღონით ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელიწადში ქუჩის ბავშვთა უპატრონობა ძირითადად ლიკვიდირებულია. ხოლო, ამისდამიუხედავად, ჯერ კიდევ არსებობს ბავშვთა უპატრონობის ნაშთები.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს სრულიად საჭიროდ მიაჩნია დააყენოს საკითხი იმის შესახებ, რომ ქუჩის ბავშვთა უპატრონობის ლიკვიდაციის საქმეში მიღწეულ წარმატებათა საფუძველზე, ფართო მასსური პროლეტარული მოძრაობის საფუძველზე, რაც მიმართულია მოზარდი თაობის ფართოდ გაშლილი კომუნისტური აღზრდისათვის, პოლიტეხნიკური სკოლის შექმნისათვის, მასსური კოლექტიური სკოლამდე აღზრდისათვის, და აგრეთვე საყოველთაო დაწყებითი სწავლების საქმეში მიღწეულ წარმატებათა საფუძველზე — ქუჩის ბავშვთა უპატრონობის ლიკვიდაციის საქმე დაყენებულ იქნეს ახლავე უმაღლეს საფეხურზე, რასაც უნდა ახასიათებდეს ბრძოლა თვით ბავშვთა დაწესებულებების მთელი აღმზრდელობითი და ორგანიზაციული მუშაობის სათანადო თვისებისათვის.

ბავშვთა უპატრონობასთან ბრძოლის საქმეში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა თავიდან აცილებისა და ამ უპატრონობის ნაშთების სასწრაფო ლიკვიდაციის მიზნით ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდუმი ადგენს:

1. ყველა საბავშვო დაწესებულება ნორმალური ბავშვებისათვის მიმაგრებულ იქნეს 1932 წ. თებერვლის 1-თვის სკოლაზე, ხოლო სკოლის მეშვეობით და სკოლასთან ერთად — წარმოებაზე, სამანქანო-სატრაქტორო სადგურზე, საბჭოთა მეურნეობაზე და კოლექტიურ მეურნეობაზე; თვითეული აღნიშნული დაწესებულება უნდა გადაიქცეს სკოლასთან ორგანიულად დაკავშირებული განსაზოგადოებული სოციალისტური ყოფაცხოვრების კერად.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს — მიიღონ გადამწყვეტი ღონისძიებანი, რათა ა/კსფსრ-ში ბავშვთა უპატრონობა სრულიად ლიკვიდირებულ იქნეს 1932 წლის გაზაფხულისათვის, რისთვისაც მოახდინონ ყველა საჭირო ძალისა და საშუალების მობილიზაცია და გამოიყენონ ამ საქმეში მშრომელთა ფართო მასსების თვითმოქმედება და ინიციაცია.

კერძოდ, დაევალოს განათლების სახალხო კომისარიატებს — დააჩქარონ საბავშვო სახლების მომუშავეთა კადრების მომზადება პედაგოგიური ინსტიტუტებისა, ტეხნიკუმებისა, მოკლევადიანი კურსებისა და არადასასწრებელი სწავლების მეშვეობით როგორც ნორმლურ ბავშთა დაწესებულებების ქსელისა, ისე ძნელად აღსაზრდელ ბავშვთა დაწესებულებების ქსელისათვის.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს — შეიტანოს 1932 წლის იანვრიდან გეგმიანი მომარაგების ფარგალში საბავშვო სახლები, ამ სახლებთან არსებული სახელოსნოები და საბავშვო კომისიების და „ბავშვთა მეგობრის“ საზოგადოების სასწავლო-წარმოებითი საწარმონი.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს — აკრძალონ საბავშვო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლების ქსელისა და ფართობის შემცირება განათლების სახალხო კომისარიატების და საბავშვო კომისიების თანხმობის გარეშე.

5. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის რკინის გზების დირექციას—აღადგინოს ტფილისის სადგურზე ბავშვთა უპატრონობის სალიკვიდაციო მიმღები ვაგონი, რომელმაც მომსახურეობა უნდა გაუწიოს საქართველოს და სომხეთს, და გააძლიეროს საზღუდველი ღონისძიებანი ბაქო-დერბენტის უბნებში.

6. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის რკინის გზების დირექციას—გამოჰყოს სასადგურო სადგომებში სათანადო ფართობი „დედისა და ბავშვის" ოთახების გასახსნელად.

7. ტრანსპორტის საზოგადოებრიობის მობილზაციის მიზნით ბავშვთა უპატრონობის ნაშთების საბოლოო ლიკვიდაციისათვის და პროფილაქტიურ ღონისძიებათა გაშლისათვის ბავშვთა უპატრონობის წინასწარ თავიდან ასაცილებლად,—წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის რკინის გზების დირექციას—მოაწყოს ვ ა გ ო ნ-პ ე დ ს ა დ გ უ რ ი, რომელმაც მომსახურეობა უნდა გაუწიოს მთელ გზას.

8. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის რკინის გზების დირექციას—აღძრას გზათა სახალხო კომისარიატის წინაშე საკითხი ტრანსპორტზე 16 წლის ასაკს გადასულ უპატრონო ბავშვთა შორის მუშაობის მოწყობის შესახებ.

9. ეთხოვოს შავი ზღვისა და კასპიის ზღვის წყალთა ბასსეინების სამმართველოს—მოაწყოს ბავშვთა უპატრონობასთან ბრძოლის საქმე სოხუმისა, ბათუმისა, ფოთისა, და ბაქოს ნავთსადგურებზე სახელშეკრულებო საფუძველზე და ეს მუშაობა დაეკისროს ამიერკავკასიის რკინის გზებზე ბავშვთა უპატრონობასთან ბრძოლისათვის არსებულ ორგანიზაციებს.

10. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს—იზმაროს სათანადო ღონისძიებანი, რათა საბავშვო სახლების მოზრდილნი (ბავშვობის ასაკგადაცილებულნი) სავსებით მოცულ იქნენ საფაბრიკო-საქარხნო სკოლებისა და სხვა პროფესიის სკოლების მიერ, შემდგომ მათი წარმოებაში ჩაბმისათვის. ამავე დროს წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს—გამოსცენ დადგენილებანი, რაც უზრუნველჰყოფს საბავშვო სახლების იმ მოწაფეთ—მოზარდთ და ბავშვობის ასაკგადაცილებულთ,—რომელნიც წარმოებაზე გავლენ.

11. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს—მიანდონ განათლების სახალხო კომისარიატებს—საბავშვო დაწესებულებათა მატერიალური ბაზისისა და მათში შრომითი აღზრდის გასაძლიერებლად—განამტკიცონ საბავშვო სახლებთან არსებული მეურნეობანი და მოაწყონ ახალი მეურნეობანი: მებოსტნეობისა, მეფრინველეობისა, მეღორეობისა და სხვ., ამ მეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებით; აგრეთვე 1933 წელს საბავშვო სახლების მთელი მეურნეობა გადაიტანონ სრულ სამეურნეო ანგარიშზე.

12. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს — დაავალონ განათლების სახალხო კომისარიატებს—გააძლიერონ კონტროლი და პერსონალურ პასუხისგებაში აძლიონ საბავშვო დაწესებულებათა ხელმძღვანელნი თავი-

ანთი მოვალეობისადმი უგულველობისათვის, რაც იწვევს საბავშვო დაწესებულებებიდან ბავშვების თვითნებისად წასვლას. ამავე დროს საბავშვო კომისიებმა და „ბავშვთა მეგობრის“ საზოგადოებებმა უნდა გააძლიერონ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა საბავშვო სახლებს შიგნითვე, რათა წინასწარ აღკვეთილ იქნეს საბავშვო სახლებიდან ბავშვების თვითნებისად წასვლა.

13. წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს—გამოსძებნოს სახსარი 1932 წელს ბაქოს მცირეწლოვან დამნაშავეთა რეფორმატორიუმის შესანახად.

14. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს—შეამოწმონ საბავშვო დაწესებულებათა ქსელის ნამდვილი მდგომარეობა და განვითარების ტემპი, რაც უზრუნველჰყოფს ბავშვთა უპატრონობის ნაშთების სრულს ლიკვიდაციას.

15. ბავშვთა უპატრონობასთან ბრძოლისათვის საჭირო ხარჯების დაგეგმვის მიზნით წინადადება მიეცეს საბავშვო კომისიებს—შეიმუშაონ, „ბავშვთა მეგობრის“ საზოგადოებისა, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების მონაწილეობით, აღნიშნული მიზნისათვის მათ ბიუჯეტებში გათვალისწინებელ სახსართა ხარჯვის ერთიანი გეგმა.

16. მიენდოს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს—თვალყური ადევნოს ამა დადგენილების აღსრულებას.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმარსულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1932 წ. თებერვლის 5.
ტფილისი.

მიმართვა ამიერკავკასიის საბჭოთა მეექვსე მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეოერე სესსიისა ამიერკავკასიის ფედერაციის 10 წლის თავის გამო.

32. ამიერკავკასიის ყველა მშრომელს.

1932 წლის მარტის 12-ს სრულდება ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის ათი წლისთავი.

ათი წლის წინად აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკების მშრომლებმა ამ რესპუბლიკებში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებთან და ოლქებთან—აფხაზეთთან, აჭარისტანთან, ნახიჩევანთან, სამხრეთ-ოსეთთან და მთის ყარაბახთან ერთად, საკავშირო პროლეტარიატის ძმური დახმარებით და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, შექმნეს ამიერკავკასიის ფედერაცია—ნაციონალური საკითხის ლენინურად გადაჭრისა და სოციალისტური საზოგადოების წარმატებით აშენების უზრუნველყოფის ნიმუში.

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის სულის ჩამდგმელები იყვნენ ამხ. ლ ე ნ ი ნ ი და ს ტ ა ლ ი ნ ი, ხოლო მისი ორგანიზაციის დაუღალავი და ენერგიული ხელმძღვანელი—ამხ. ს. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე. ფედერაცია წარმოიშვა და ჩამოყალიბდა დიდი ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვების შედეგად, ამიერკავკასიის მშრომელთა ნება-სურვილით და მათი მოწინავე ავანგარდის—ბაქოს პროლეტარიატის ინიციატივით—ფედერაციაში შემავალი საბჭოთა რესპუბლიკების შემოქმედებითი ინიციატივის სრული შენარჩუნების საფუძველზე. ამიერკავკასიის ყველა საბჭოთა რესპუბლიკის გაერთიანება ერთ ოჯახში, ერთ ფედერაციაში ნაკარნახევი იყო ამიერკავკასიის ყველა ხალხის მშრომელთა საარსებო ინტერესებით. ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა გამოწვეულია ისტორიული ამბების მთელი წინანდელი მიმდინარეობით.

ამიერკავკასიის მუშათა კლასი, რომელიც თავისი შედგენილობით ინტერნაციონალურია, მრავალი წლის განუწყვეტელ რევოლიუციონურ ბრძოლაში ყველა თავისი დამმონებლისა და ექსპლოატატორის წინააღმდეგ, ერთ-ერთ მთავარ ლოზუნგად ყოველთვის აყენებდა ამიერკავკასიის ხალხთა მშრომლების მთლიანობას და პროლეტარულ სოლიდარობას.

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნამდე ამიერკავკასიის მუშათა კლასმა განვლო ბრძოლის მძიმე გზა; ამ ბრძოლაში დიდი მსხვერპლი გაიღო მუშათა კლასმა, დაიღუპნენ საუკეთესო მებრძოლნი მუშათა საქმისათვის, სოციალიზმის საქმისათვის.

ამიერკავკასიის მუშათა კლასმა განიცადა მენშევიკებისა, დაშნაკებისა და მუსავატელების კონტრ-რევოლიუციონური რეჟიმის მთელი სიდუხჭირე. აზერბაიჯანსა და სომხეთში ადგილი ჰქონდა დაშნაკელებისა და მუსავატელების ველურ ბოროტმოქმედებას—სომეხ თურქთა კოშმარულ სისხლის მღვრელ შეტაკებებს და ომებს, რომელთაც შედეგად მოჰყვა რამდენიმე ათეული ათასი კაცის სიკვდილი და ქალაქებისა და სოფლების საბოლოოდ განადგურება; საქართველოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენშევიკების ნაციონალისტურმა და შოვინისტურმა მთავრობამ ცეცხლსა და მახვილს მისცა სამხრეთ-ოსეთი, აფხაზეთი და აჭარისტანი; ამიერკავკასიის მშრომლებს არ დაავიწყდებათ შამქორის საშინელი ტრაგედია და ბაქოს გმირული კომუნა შაუმიანის, ჯაფარიძის და აზიზბეკოვის მეთაურობით, რომელიც ჩაახრჩეს იმპერიალისტებმა და მათმა ლაქიებმა —ქართველმა მენშევიკებმა, რუსეთის ესერებმა, სომხების დაშნაკელებმა და აზერბაიჯანის მუსავატელებმა; მათ ბატონობას ახასიათებდა აღვირახსნილი შოვინიზმი და მას შედეგად მოჰყვა ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის სრული დაშლა.

საბჭოთა ხელისუფლების დროს, ამიერკავკასიის ფედერაციის არსებობის დროს ყველა ეროვნების მშრომლების ცხოვრებაში სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე მიღწეულია უდიდესი წარმატებანი.

ლენინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელების საფუძველზე ამიერკავკასიის ფედერაციამ უკვე განახორციელა ლენინის ერთ-ერთი უდიდესი ანდერძი იმის შესახებ „რომ მათი (იგულისხმება კავკასიის რესპუბლიკები) მჭიდრო კავშირი შექმნის მშვიდობიანობის საუკეთესო ნიმუშს, რაც ბურჟუაზიის დროს არ ნახულა და რაც შეუძლებელია ბურჟუაზიულ წყობილებაში“.

ამიერკავკასიაში, რომელიც ახლო წარსულში წარმოადგენდა უაღრესად მწვავე ეროვნული ბრძოლის და ეროვნული შეტაკების ასპარეზს, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აღარ არსებობს არავითარი შეხლა-შემოხლა, არავითარი შუღლი და არავითარი უთანხმოება ნაციონალურ ნიადაგზე. და ეს იმიტომ, რომ საბჭოთა ხელისუფლება წარმოადგენს ყველა ეროვნებათა, მათ შორის მცირე ეროვნებათა მშრომლების ხელისუფლებას.

ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციისა და სოციალისტური რეკონსტრუქციის საფუძველზე, მასსების თვითმოქმედებისა და კულტურული ძალების ზრდის საფუძველზე, საბჭოთა კავშირის ორგანოების ხელმძღვანელობით და საკავშირო პროლეტარიატის ძმური დახმარებით, საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა ყველა ერთა, მათ შორის ყველაზე უფრო ჩამორჩენილ და წინად დაჩაგრულ ეროვნებათა პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული თანამშრომლობა.

ამიერკავკასიის ფედერაცია— მუშათა კლასის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია. ამიერკავკასიის ფედერაცია—ამიერკავკასიაში ნაციონალური მშვიდობიანობის სიმტკიცის გარანტიაა. ამიერკავკასიის ფედერაცია ამიერკავკასიის ყოველი ეროვნებისათვის, რაც უნდა მცირე იყოს იგი, უზრუნველყოფს სამეურნეო და კულტურულ განვითარებას. ამიერკავკასიის ფედერაცია არის ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკის და ყველა ერის მთლიანობისა, ძმობისა და პროლეტარული სოლიდარობის სიმბოლო და მათი კულტურული და სამეურნეო ზრდის უზრუნველმყოფი. ამიერკავკასიის ფედერაციის პოლიტიკური და სამეურნეო ძალოვნების განმტკიცებით ერთნაირად არიან დაინტერესებული ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკა და ერი, ვინაიდან ეს ერთსა და იმავე დროს მოასწავებს ამიერკავკასიის ფედერაციაში შემავალი ყოველი რესპუბლიკის და ყოველი ერის განმტკიცებას და გაძლიერებას.

ისტორიამ უკვე სავსებით გაამართლა ამ ათი წლის წინ გადადგმული ნაბიჯის სისწორიანობა.

ამ ათი წლის განმავლობაში ამიერკავკასიის მუშათა კლასმა და მისმა ავანგარდმა—ბაქოს პროლეტარიატმა—უზრუნველჰყვეს უდიდესი წარმატებანი იმ ბრძოლაში, რაც მიმართულია სოციალიზმის აშენებისათვის ლენინური ნაციონალური პოლიტიკის სისწორით განხორციელების საფუძველზე და ჩვენი პარტიის გენერალური ხაზისათვის გადუხრელად ბრძოლის საფუძველზე.

ა/კსფსრ ყველა საგლეხო მეურნეობათა 42 პროცენტამდე გაერთიანებულია კოლმეურნეობებში, ხოლო მებამბეობის რაიონებში—60 პროცენტი, რაც ორნახევარჯერ სჭარბობს ხუთწლიანი გეგმის ვარაუდს. ნავთის ხუთწლიანი გეგმა ბაქოს ნავთის მრეწველობის მუშების გმირული ძალ-ღონით შესრულებულია ორწელიწად ნახევარში. ამიერკავკასია აგრარული ქვეყნიდან ხდება ინდუსტრიალურ-აგრარულ ქვეყნად. ა/კსფსრ ხდება სსრკ-ის ბამბის მეორე მძლავრ ბაზისად და ტეხნიკური და სპეციალური კულტურების (ჩაი, რამი, თამბაქო და სხვ.) ძირითად ბაზისად. ფართოვდება მშრომელთა კულტურული დონე. 1931 წელს ძირითადად შესრულდა საყოველთაო სწავლების ხუთწლიანი გეგმა.

ამიერკავკასიის ფედერაციის ათი წლის თავი, რაც თანამთხვევია ხუთწლედის მეოთხე დამამთავრებელი წლისა, ამიერკავკასიის მშრომლების წინაშე აყენებს უდიდესი მნიშვნელობის ამოცანებს.

ამ ამოცანების შესრულება შესაძლებელია იმ შეცდომების ბოლშევიკურად გამოსწორებით, რაც მოხდა ამიერკავკასიაში და აღნიშნულია საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის დადგენილებაში, ამიერკავკასიის მშრომელთა თანამშრომლობის და ა/კსფსრ-ის პოლიტიკური და სამეურნეო სიძლიერის შემდგომი განმტკიცებით, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების თვითმოქმედებისა და სამეურნეო ინიციატივის განვითარებით, პარტიის გენერალური ხაზიდან ყოველგვარ გადახრასთან ულმობელი ბრძოლით და გამარჯვების იმ ექვსი პირობის პრაქტიკული ყოველდღიური განხორციელებით, რომლებიც დაგვისახა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადმა ამხ. ს ტ ა ლ ი ნ მ ა.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესსია მოუწოდებს ყველა საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციას სათავეში ჩაუდგეს მასსების სულ უფრო და უფრო გაძლიერებულ ფართო შემოქმედებითს მოძრაობას და ყოველნაირად წაახალისოს ა/კსფსრ-ის ათი წლის იუბილეს უკეთ ჩატარებისათვის მოწყობილ სადამკვრელო სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა ცდა მუშაობის ბოლშევიკური ტემპებისა და თვისებრივი მაჩვენებლების საუკეთესო ნიმუშების ჩვენებით მრეწველობასა, ტრანსპორტსა და სოფლის მეურნეობაში.

სესსია გამოსთქვამს ღრმა რწმენას, რომ ლენინის რაიონის (ბაქოში) მეორე და მეხუთე სადამკვრელო სარეწაოთა ნავთის მრეწველობის მუშების მოწოდება გამოძახილს ჰპოებს ყოველ მშრომელში და მშრომელთა მილიონნიანი მასსები, როგორც ერთი კაცი, ისე ჩაებმებიან ა/კსფსრ-ის ათი წლის თავის სახელობის ერთიან ბრიგადაში და ყოველნაირად ეცდებიან მთლიანად და გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჭარბებით შეასრულონ ვადამდე ხუთწლედის მეოთხე დამამთავრებელი წლის ყველა გეგმა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

გაუმარჯოს ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკას!

გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლიუციას!

გაუმარჯოს ამიერკავკასიის ხალხთა ერთობას და ძმობას!

გაუმარჯოს სსრკ-ას—ხალხთა სოციალისტური მთლიანობას ნიმუშს!

გაუმარჯოს ბოლშევიკების გომუნისტურ პარტიას და პარტიის ბელადს ამხ. ს ტ ა ლ ი ნ ს!

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1932 წ. თებერვლის 19.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“ ს 43 №-ში 1932 წ. თებერვლის 21-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

33. 1932 წლის გაზაფხულის თესვისათვის მზადების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს-რა, რომ სრულიად არადამაკმაყოფილებელია 1932 წლის გაზაფხულის თესვის მომზადების და ჩატარებისათვის საჭირო მუშაობის ტემპი, ადგენს:

I. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს:

1. მიიღონ გადამწყვეტი ღონისძიებანი, რათა აღსრულებულ იქნეს სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდუმის 1932 წლის თებერვლის 1-ის დადგენილება „გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო თესვის კამპანიისათვის მომზადების შესახებ“ და 1932 წლის მარტის 1-დე უზრუნველჰყონ გაზაფხულის თესვის გეგმის მიწვდენა რაიონებამდე, სოფლის საბჭოებამდე, კოლმეურნეობებამდე, საბჭოთა მეურნეობებამდე, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებამდე და ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობებამდე, ხოლო მტკიცე დავალებისა—კულაკურ-შეძლებულ მეურნეობებამდე.

ამავე დროისათვის ჩატარებულ და დამთავრებულ იქნეს გაზაფხულის თესვის გეგმის ფართო განხილვა სოფლად კოლმეურნეებისა და ღარიბთა ჯგუფების

კრებებზე, საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის საბჭოების საწარმოო თათბირებზე, ღარიბ და საშუალო მეურნეობათა ფართო მონაწილეობით.

2. დაუყოვნებლივ გაიშალოს მუშაობა, რათა მიღწეულ იქნეს კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება და მოეწყოს ბრიგადები, რომლებიც შრომის სათანადო ორგანიზაციის უმნიშვნელოვანისი ფორმაა, მოწესრიგდეს საფინანსო მეურნეობის აღნუსხვა, განმტკიცდეს შრომის დისციპლინა, გატარებულ იქნეს სანარდო სისტემა, ბრძოლა გაეწიოს გაუპიროვნებასა და გათანაბრებას სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის აგვისტოს 2-ის დადგენილების აღსრულების საფუძვალზე.

3. დამთავრებულ იქნეს უმოკლეს ვადაზე ყველა სამუშაო კოლმნურნეობათა მიწათჩვენებისა და მიწათმოწყობის დარგში; ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მიწების გამოყოფას ახალი საბჭოთა მეურნეობებისათვის, განსაკუთრებით ტეხნიკური კულტურების გასაშენებლად.

4. მიღებულ იქნეს გადამწყვეტი ღონისძიებანი, რათა შესრულდეს სათესლე ფონდებისა და დამზღვევი ფონდების დაწესებული რაოდენობით დაგროვების გეგმები კოლმეურნეობებში; გამოირკვეს თესლის საჭიროება და მიღებულ იქნეს ღონისძიებანი შესაძლებელი დეფიციტის შესავსებად სასურსათო მარცვლეულის თესლზე გადაცვლით.

ზედმიწევნით აღინუსხოს გაზაფხულის თესლის მარაგი დამმზადებელი ორგანიზაციების საწყობებში, კოლმეურნეობებსა და ინდივიდუალურ მეურნეობებში და გამოირკვეს ჭარბი სათესლე მასალა სხვა რაიონებში გადასაგზავნად რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების განწესებით.

ამავე დროს მიღებულ იქნეს გადამწყვეტი ღონისძიებანი ბალახების და საბოსტნე მცენარეების თესლეულის დამზადების გაძლიერებისათვის იმ ანგარიშით, რომ ეს მუშაობა დამთავრდეს მარტის 10-დე.

5. მარტის 1-თვის დამთავრებულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტი, რისთვისაც დაუყოვნებლივ დაწყებულ იქნეს მთელი შესაკეთებელი ინვენტარის აღნუსხვა; სარემონტო სამუშაოებისათვის მობილიზებულ იქნეს ყველა კერძო სამჭედლო და სახელოსნო; მოეწყოს სარემონტო ბრიგადები ჩამორჩენილი რაიონებისა და სასოფლო საბჭოებისათვის; აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნეს ტრაქტორები და სასოფლო-სამეურნეო მანქანები, საწვავი და საცხები მასალით და სათადარიგო ნაწილებით.

6. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მუშა-საქონლისა და მისთვის საჭირო ფურაჟის განმზადებას, გაზაფხულის მინდვრის სამუშაოთა პერიოდისათვის, გაუპიროვნების ლიკვიდაციას ყოველი სახის სამუშაოზე, საწევის ძალის მიმაგრებას განსაზღვრულ საწარმოო ბრიგადებზე.

7. კონტრაქტაცია დამთავრდეს თვითეული კულტურისათვის დაწესებულ ვადაზე. ამ მიზნით ჩატარებულ იქნეს მასსური ახსნა-განმარტებითი კამპანია კონტრაქტაციის ყველა საკითხზე; სასწრაფოდ მიწვდენილ იქნეს კონტრაქტაციის გეგმები კოლმეურნეობამდე, სოფლამდე და კომლამდე; შემოწმებულ იქნეს, თუ რამდენად არიან მომზადებულნი სათანადო ორგანიზაციები იმისათვის, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაატარონ კონტრაქტაცია და დაკონტრაქტებული მეურნეობანი მოამარაგონ სამრეწველო და სასურსათო საქონლით.

8. დაუყოვნებლივ დაიწყოს მუშა-ძალის—განსაკუთრებით მასსური კვალიფიკაციის კადრების—მომზადება და გარდამზადება საბჭოთა მეურნეობებსა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და კოლმეურნეობებში. მუშაობა კადრების მომზადებისა და გარდამზადებისათვის დამთავრდეს მარტის 15-დე.

9. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სარწყავი სისტემის განმზადებას გაზაფხულის თესვისათვის, სარწყავი არხების გაწმენდას და ეს მუშაობა დამთავრდეს მარტის 10-თვის, ხოლო მდინარეთა ნაპირების შემობექურება—მარტის 20-თვის.

დაწესდეს სარწყავი სისტემების რემონტის მეთვალყურეობა და მუდმივი დახმარება აღმოეჩინოს წყალთა მეურნეობის ორგანიზაციებს; გამოიყონ ყოველ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტსა და სასოფლო საბჭოსთან სპეციალური პირები, რომელნიც პასუხისმგებელ იქნებიან მორწყვის ნორმების და ვადების დაცვისა და ღამ-ღამობით მორწყვის ჩატარებისათვის.

10. უმოკლეს ვადაზე მიღებულ იქნეს გადამწყვეტი ღონისძიებანი იმისათვის, რათა განხორციელდეს სამუშაოები მინდვრის მავნებლებთან საბრძოლველად, და ხელი შეეწყოს მავნებლებთან მებრძოლი საკავ. შენაერთის ორგანიზაციებს და თანამშრომელებს.

11. უზრუნველყოფილ იქნეს გაზაფხულის თესვის დაწყება და ჩატარება რაც შეიძლება ადრე და მაქსიმალურად შემცირებულ ვადაზე და ამ საქმეში ფართოდ იქნეს გამოყენებული საუკეთესო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამოცდილება.

ამასთან ერდად გაძლიერებული ყურადღება მიექცეს გაზაფხულის თესვის ჩატარებას ღარიბ და საშუალო ინდივიდუალურ მეურნეების მიერ და უზრუნველყოფილ იქნეს საჭირო პირობები მათი ჩაბმისათვის კოლმეურნეობებში.

12. კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს რგოლეულად უნდა გახდეს ბრიგადა. საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო არტელების გამოცდილების საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნეს საკოლმეურნეო ბრიგადების ორგანიზაცია კოლმეურნეთა მუდმივი შედგენილობით, იმ ანგარიშით, რომ ამ ბრიგადებმა, როგორც საერთო წესი, შეასრულონ განსაზღვრულ ნაკვეთებზე ყველა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო სამუშაო მთელი წლის განმავლობაში.

ამ ბრიგადებისათვის კოლმეურნეობა გამოჰყოფს მათი მუშაობის განმავლობაში საჭირო მანქანებს, ინვენტარს და მუშა-საქონელს, რომელთა მდგომარეობისათვისაც სავსებით პასუხისმგებელია ბრიგადა.

13. შემოწმებულ იქნეს, თუ რამდენად არიან მომზადებულნი სათანადო ორგანიზაციები მიწების გაპატივების კამპანიის ჩატარებისათვის. ამავე დროსმიღებულ იქნეს ღონისძიებანი აგრიკულტურულ საშუალებათა განხორციელების გეგმის დასამუშავებლად.

14. აღინუსხოს მთელი საწევი ძალა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი კოლმეურნეობებში და ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობათა სექტორში; შედგენილ იქნეს მათი რაციონალური გამოყენების გეგმა, რისთვისაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოეწყოს მუშა-საქონლის კოლონები და ზიარით შებმა. ამავე დროს შეძლებულ კულაკურ მეურნეობებს მიეცეს ღარიბთა მიწების დამუშავების საწარმოო დავალებანი.

15. მარტის 10-თვის დამთავრებულ იქნეს თესლის გაწმენდა და დაწამლვა, რისთვისაც დაუყოვნებლივ უნდა შემოწმდეს მუშაობის მიმდინარეობა და დაისახოს ღონისძიებანი, რაც უზრუნველჰყოფს აღნიშნული გაწმენდის გეგმების შესრულებას.

16. დაუყოვნებლივ აღინუსხოს მუშა-ძალა, მისდამი მოთხოვნილება და მისი სიჭარბე; გამოირკვეს ჭარბი მუშა-ძალისა და მისი შეგროვების რაიონები და ჩატარებულ იქნეს კამპანია ხელშეკრულებათა დასადებად საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს შორის საჭირო რაოდენობის მუშათა გამოყვანის შესახებ.

17. მარტის 10-დან 20-დე მოეწყოს გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანისათვის ყველა საჭირო მოსამზადებელ სამუშაოთა ჩატარების ფართო მასსური თვითშემოწმება, ყველა ორგანიზაციის და სოფლის საზოგადოებრიობის მონაწილეობით. ამასთან ერთად ორგანიზებულ იქნეს მაქსიმალური დახმარება ქალაქების მხრით თესვის წარმატებით მომზადების საქმეში (სარემონტო სახელოსნოების ორგანიზაცია, კულტმუშაკების გაგზავნა და სხვ.); მობილიზებულ იქნეს ქალაქის საბჭოების მასსური ორგანიზაციების, სექციების, დეპუტატთა ჯგუფების ყურადღება იმის გარშემო, რომ დახმარება აღმოეჩინოს სამრეწველო და მომმარაგებელ-დამმზმდებელ ორგანიზაციებს და შემოწმებულ იქნეს ამ ორგანიზაციების მიერ დაკვეთების შესრულება გაზაფხულის თესვის საჭიროებისათვის.

18. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ოპერატიულობას, გაზაფხულის თესვის მომზადებისა და ჩატარების გეგმების თავის დროზე შესრულების კონკრეტულ ხელმძღვანელობას და კონტროლს საბჭოთა, სამეურნეო და საკოლმეურნეო-კოოპერატიული ორგანიზაციების მუშაობაში. უზრუნველყოფილ იქნეს გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მსვლელობის შესახებ მიმდინარე ანგარიშგების თავის დროზე წარდგენა ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილ ფორმით და ვადაზე, რისთვისაც პერსონალური პასუხისმგებლობა დაეკისროს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებისა და სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებს.

19. იმ მიზნით, რათა გაზაფხულის თესვის მომზადებისათვის საჭირო ღონისძიებათა გატარებაში მაქსიმალურად იქნენ ჩაბმულნი ქალები—კოლმეურნე, მოჯამაგირე და ღარიბ და საშუალო გლეხ-ქალები—ინდივიდუალური მეურნენი,—მათ შორის ფართოდ უნდა გაიშალოს მასსური ახსნა-განმარტებითი მუშაობა; ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ქალის შრომის ორგანიზაცია კოლმეურნეობებში; ქალთა საწარმოო თათბირების აქტიური ჩაბმა კოლმეურნეობათა პრაქტიკულ მუშაობაში; ქალთა კადრების მომზადება და გარდამზადება; ისეთი პირობების შექმნა, რაც უზრუნველყოფს ქალის შრომის გავრცელებას სასოფლო მეურნეობაში, კერძოდ, საბავშვო ბაგების, საზოგადოებრივი კვების და სხვათა ორგანიზაციით.

II. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი საბჭოთა და საკოლმეურნეო ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ამოცანად სთვლის მუშაობას იმისათვის, რათა დაწინაურებულ და აღზრდილ იქნენ კოლმეურნეთა აქტივი, დამკვრელი კაცები და დამკვრელი ქალები, კოლმეურნე-კაცები და კოლმეურნე-ქალები, სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეები, ბრიგადირები და სხვ.. ადგილობრივი ორგანიზაციები უნდა დაეყრდნენ კოლმეურნეთა აქტივს უმნიშვნელოვანეს სამეურნეო ღონისძიებათა განხორციელების დროს, როგორიცაა ბრძოლა მოსავლისათვის, პურის დამზადების გეგმის შესრულებისათვის და სხვ., აგრეთვე ბრძოლა კოლმეურნეთა სოციალისტური გარდაქმნისათვის.

III. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმას, რომ გაზაფხულის თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს მხოლოდ იმ პირობით, უკეთუ უცილობლად გამოსწორებულ იქნება ჩადენილი შეცდომები, რაც აღნიშნულია სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის ოქტომბრის 31-ის დადგენილებაში, უკეთუ გადამწყვეტი ბრძოლა გაეწევა კლასობრივი მტრის წინააღმდეგობას და ოპორტუნიზმის ყოველგვარ გამოხატულებას.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი დარწმუნებულია, რომ აღმასრულებელი კომიტეტები და საბჭოები გაზაფხულის თესვის კამპანიისათვის საჭირო მოსამზადებელი მუშაობის ბოლშევიკური ტემპების გაშლით და თავიანთ მუშაობაში ამხ. სტალინის ექვსი ისტორიული დირექტივის რეალიზაციით მთლიანად შეასრულებენ გაზაფხულის თესვის გეგმას.

IV. მიენდოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს—შეიმუშაოს და გამოსცეს სამი დღის ვადაზე პრაქტიკული ღონისძიებანი ამ დადგენილების განსავითარებლად და შესასრულებლად.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1932 წ. თებერვლის 9.
ტფილისი

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 42 №-ში 1932 წ. თებერვლის 20-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

34. ა/კსფსრ-ში 1932 წელს მთრიმლავი მასალის დამზადების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„კერძო პირებისა და მათი შენაერთებისათვის ტყავ-ნედლეულის შესყიდვის და გადამუშავების აკრძალვის შესახებ“ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1931 წ. ოქტომბრის 7-ს გამოტანილი დადგენილების შესაბამისად— აეკრძალოს კერძო პირებს მთრიმლავი მასალის დამზადება მთლად ა/კსფსრ ტერიტორიაზე სათანადო ნებართვის გარეშე და, უკეთუ აღმოჩენილ იქნება უკანონოდ დამზადებული მთრიმლავი მასალა, კონფისკებულ იქნეს იგი და გადაეცეს ტრესტ „დუბიტელ“—ისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის დამმზადებელ პუნქტებს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. თებერვლის 1.
№ 453.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 43 №-ში 1932 წ. თებერვლის 21-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

35. ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ფასთა კომიტეტის შედგენილობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ფასთა კომიტეტის შემდეგი შედგენილობა: ამხანაგნი მუსაბეკოვი (თავმჯდომარე) ტერ-გაბრიელიანი (მოადგილე), ფირუმოვი, ბერია, ამატუნი, სვანიძე, ალამიროვი, ერემიანი, ბუკრეევი, სივოლაპი, დოგადოვი, ლაქტიონოვი და მინასიანცი (იგივე მდივანი).

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. თებერვლის 10
№ 451
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

36. ა/კსფსრ-ში 1931 წლის წლიური ბალანსებისა და ანგარიშების თვისების და თავის დროზე წარდგენის უზრუნველყოფის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. დეკემბრის 14-ის დადგენილებით დაწესებული 1931 წ. წლიური ანგარიშებისა და ბალანსების წარდგენის ვადები: სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ხაზით—არა უგვიანეს 1932 წ. მარტის 1-სა, მომარაგების სახალხო კომისარიატისა და ყველა სისტემის კოოპერაციის ხაზით—არა უგვიანეს 1932 წ. აპრილის 1-სა, სხვა უწყებების ხაზით—არა უგვიანეს 1932 წ. აპრილის 15-სა და ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე საწარმოთა ხაზით—არა უგვიანეს მარტის 1-სა,—შეიძლება, განსაკუთრებულ შემთხვევაში, სათანადო უწყებისა თუ კოოპერატიული ცენტრის შუამდგომლობით, განგრძობილ იქნეს არა უმეტეს, ვიდრე ერთი თვით, ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის დადგენილებით, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებისამებრ.

2. აიკრძალოს წლიური ანგარიშისა და ბალანსების შედგენის პერიოდში მომუშავეთა ყოველგვარი მობილიზაცია და ჩამოშორება სხვა რამ სამუშაოსათვის.

3. ა/კსფსრ-ში ლიკვიდირებული საწარმონი 1931 წ. ბალანსებისა და ანგარიშების წარდგენისათვის იხელმძღვანელებენ ამა დადგენილებას და სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნულ, 1931 წ. დეკემბრის 14-ის, დადგენილებას.

4. ყველა უწყებამ და კოოპერატიულმა ცენტრმა უნდა დაიმუშაოს პრაქტიკული საუწყებო ღონისძიებანი, რაც უზრუნველჰყოფს ანგარიშების თვისებას და ვადებს.

5. მიენდოს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას—თვალყური ადევნოს ამა დადგენილებისა და „1931 წ. წლიური ანგარიშების და ბალანსების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. დეკემბრის 14-ის დადგენილების აღსრულების მსვლელობას და, არა უგვიანეს 1932 წ. თებერვლის 28-სა, წარმოუდგინოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს სათანადო მოხსენება.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—გამოსცენ ამა დადგენილების ანალოგიური დადგენილებანი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. თებერვლის 10.
№ 452.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

37. 1932 წელს კალიასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

1932 წელს კალიასთან ბრძოლისა და მისი საბოლოოდ ლიკვიდაციისათვის მუშაობის ორგანიზაციის მიზნით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს რწმუნებულად კალიასთან ბრძოლისათვის დანიშნულ იქნეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. ვეზიროვი, ხოლო მის მოადგილედ—სასოფლო და სატყეო მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის სრულიად საკავშირო შენაერთის ამიერკავკასიის კონტორის მმართველი ამხ. ი. ჟღენტი და მიეცეს მათ ის უფლებანი, რაც გათვალისწინებულია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მაისის 20-ის დადგენილებით „კალიასთან ბრძოლის საქმისათვის ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საგანგებო რწმუნებულის დანიშვნის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-10 №-ი, მუხ. 116).

წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს—დანიშნოს რესპუბლიკანური რწმუნებული.

2. კალიასთან ბრძოლის წარმატებით ჩატარებისათვის ნება დაერთოს აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს—გამოიტანოს ხოლმე სპეციალური დადგენილებანი მოსახლეობის შრომისა და ჭაპანზიდვის ბეგარაზე გაწვევის შესახებ.

3. წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს—დაავალოს ა/კ. გზატკეცილებისა, უამრგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის აზერბაიჯანის განყოფილებას, აზერბაიჯანის სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, უზრუნველჰყოს, მობილიზაციის წესით, კალიის საწინააღმდეგო სამუშაოები საჭირო რაოდენობის ავტოტრანსპორტით.

მობილიზებული მანქანების სამუშაოთა პუნქტებში წარგზავნის ხარჯები, მანქანებისა და მომსახურე პერსონალის შენახვის საექსპლოტაციო ხარჯები, სამუშაოს ხელფასის გარდა, დაეკისროს სასოფლო და სატყეო მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის სრულიად საკავშირო შენაერთის ამიერკავკასიის კონტორის აზერბაიჯანის განყოფილებას.

4. წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს—დაავალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—იხმარონ გადამწყვეტი ღონისძიებანი კალიასთან ბრძოლის საქმისათვის მაქსიმალურ ხელშესაწყობად.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს და „პრომკორმ“-ის ა/კ. კონტორას— იხმარონ ღონისძიება, რათა კალიის მისატყუებლად საჭირო ბრინჯის ქერტლი დაფქვილ იქნეს სათანადო რაოდენობით აზერბაიჯანის სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და სასოფლო და სატყეო მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის სრულიად საკავშირო შენაერთის ა/კ. კონტორის აზერბაიჯანის განყოფილების მიერ განსაზღვრულ ვადაზე და გაცემულ იქნეს დადგენილ ფასად ტარაში ჩაყრილი.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს—უზრუნველჰყოს კალიის ფრონტზე მომუშავენი სურსათით, სპეცტანსაცმლით და ფეხსაცმლით, რაც გამოყოფილ უნდა იქნეს არა უგვიანეს ა/წ. მარტის 1-სა.

7. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის რკინის გზების დირექციას—მოახდინოს განკარგულება თავის ხაზზე ვაგონების რიგს გარეშე მიჩენისა, საკალიო ტვირთის წარგზავნის და ტეხნიკური პერსონალის გადაყვანის შესახებ.

8. წინადადება მიეცეს სსრკ-ის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში—დაამყაროს სატელეფონო, სატელეგრაფო და სარადიო კავშირგაბმულობა მთავარ ოპერატიულ შტაბსა და სარაიონო შტაბებსა და სხვა ორგანიზაციებს შორის, რისთვისაც გამოიყენოს ყოველგვარი ადგილობრივი შესაძლებლობა, სხვათა შორის—სანაპირო დაცვისაც, და აგრეთვე მოახდინოს განკარგულება საკალიო კორესპონდენციისა და დეპეშების რიგს გარეშე მიღებისა, გაგზავნისა და ჩაბარების შესახებ.

9. წინადადება მიეცეს სასოფლო და სატყეო მეურნეობის მავნებელებთან ბრძოლის სრულიად საკავშირო შენაერთის ა/კ. კონტორას—მისი მმართველის ამხ. ი. ჟღენტის პირადი პასუხისმგებლობით—შეუთანხმდეს ა/კ. ტრაქტორცენტრს და ა/კ. მებამბეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტს ხელშეკრულების საფუძველზე ხუთი ტრაქტორის (საზიდავებით) გადაცემის შესახებ მუშაობის ადგილებზე საკალიო ტვირთის სასწრაფოდ და დაუცადებლად გადაზიდვისათვის.

10. წინადადება მიეცეს სსრკ-ის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში—დააჩქაროს დოკუმენტების გაფორმება სანაპირო ზოლში მასალისა, შხამებისა, სურსათისა და ტეხნიკური პერსონალის სასწრაფოდ და დაუცადებლად გაშვებისათვის.

11. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს რწმუნებულს კალიასთან ბრძოლისათვის—აცნობოს ხოლმე პერიოდულად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს კალიასთან ბრძოლის საქმის მსვლელობა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. თებერვლის 10.
№ 454.
ტფილისი

მთავლიტი 878. საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა ტირაჟი 1.400.